აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 9

30/06/2016 წელი **ქ. ბათუმი**

ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 39-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 40-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 72-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 29/06/2016 წლის №05/1458 წერილის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლება მიენიჭოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტს, მისამართი: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N102ა.

2. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიასთან ერთად უნდა წარუდგინოს ცნობა კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კანდიდატი ჯანმრთელია, ან ნარკოტიკების მომხმარებელია.

3. პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენის შემთხვევაში, კანდიდატის სააღრიცხვო ბარათთან და ფოტოსურათთან ერთად უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარდგენილი უნდა იქნას ცნობა კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კანდიდატი ჯანმრთელია, ან ნარკოტიკების მომხმარებელია.

4. კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების/საარჩევნო ბლოკების, პარტიული

სიიდან სავარაუდოდ არჩეულმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის ყველა კანდიდატმა უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს ნარკოლოგიური შემოწმების გავლის უფლება აქვთ, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ დაწესებულებაში.

6. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულება, კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა, ვალდებულია უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარმოადგინოს წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების/საარჩევნო ბლოკების, პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრობის ყველა კანდიდატის შესახებ ნარკოლოგიური შემოწმების დამადასტურებელი ცნობა, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კანდიდატი ჯანმრთელია, ან ნარკოტიკების მომხმარებელია და უმაღლესი საბჭოს არჩეულ წევრთა სია, რომლებმაც გაიარეს ნარკოლოგიური შემოწმება.

7. დაევალოთ:

ა) საერთო სამსახურს (ს. ჩოგაძეს) ამ განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრული დაწესებულებისათვის დადგენილი წესების გაცნობა;

ბ) საორგანიზაციო სამსახურს (ლ. ჩავლეიშვილს) ამ განკარგულების საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გაცნობა;

გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. ნაკაშიძე) ამ განკარგულების საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნება.

8. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

9. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **თამარა ხოზრევანიძე**